განმარტებითი ბარათი

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია გმირთა მოედნის მიმდებარე სარეკრიაციო ზონა (რზ-2)-ში არსებული ამორტიზებული კაფე-რესტორნის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების მოქმედი წესებისა და სხვა სამშენებლო რეგულაციების დაცვით. წარმოდგენილი პროექტი დამუშავდა სამსახურის 2019 წლის 3 მარტის # 4434234 ბრძანებით დამტკიცებული გაპის შესაბამისად

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გმირთა მოედნის მიმდებარე სარეკრიაციო ზონა (რზ-2)-ში არსებული საცურაო კომპლექსის „ლაგუნა ვერე“-ს მომიჯნავე 01.15.03.004.021 საკადასტრო ერთეულზე, სადაც ამჟამად განთავსებულია ორსართულიანი ამორტიზებული კაფეს უმოქმედო ნაგებობა. რელიეფის სირთულემ განაპირობა ნაგებობის პირველი სართულის გრუნტში ნაწილობრივი შეჭრა

პროექტის კონცეფცია

პროექტის კონცეფცია და იდეა წარმოადგენს სარეკრიაციო ზონაში არსებული უმოქმედო კაფეს რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის საშუალებით, აღნიშნულ ლოკაციაზე თანამედროვე და კომფორტული დასასვენებელი გარემოს შექმნა მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით.

პროექტის შინაარსი და აღწერა

პროექტით გათვალისწინებულია არსებული კაფეს რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდება გრუნტში ნაწილობრივ შეჭრილი პირველ სართულის კაპიტალურ კედლებს რომელზედაც არსებული პავილიონის ტიპის მსუბუქი პროფილირებული მეტალის კონსტრუქციებით შეკრული მოცულობის ნაცვლად დაიდგმება იგივე ტიპის კონსტრუქციებისგან შედგენილი გამჭვირვალე მოცულობა. გამონაკლისს წარმოადგენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესაბამისად მოწყობილი ყრუ არმირებული კედელი 2 საათიანი ხანძარმედეგობით. ფუნქციურად პირველი სართული (-3,04 ნიშ.) უკავია სამზარეულოს და ტუალეტებს. მეორე სართულზე (0,00 ნიშ.) განთავსებულია ვიზიტორთა დარბაზი 56 დასაჯდომ ადგილზე და ღია სამზარეულო ბარით. ასევე ანტრესოლი (3,04 ნიშ.) 96 დასაჯდომ ადგილზე. ტექნიკური დანიშნულების დამხმარე სათავსები (რეზერვუარი სატუმბო) გატანილია სარეკონსტრუქციო ნაწილის მოცულობიდან და განთავსდება გრუნტში შეჭრილი ერთსართულიანი ნაგებობის ფართის ნაწილში, რომელსაც ჩაუტარდება შესაბამისი რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობების ნაწილის დემონტაჟის შემდგომ დარჩენილი ფართის ნაწილზე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განხორციელდება რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. დანარჩენი ნაწილზე, რომელიც ფაქტობრივად გრუნტის შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს, ამ ეტაპზე ჩაუტარდება მხოლოდ გამაგრებითი სამუშაოები.

დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად ტერიტორიაზე შეძლებისდაგვარად შემცირდება განაშენიანების ფართი.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა

საპროექტო შენობის სტრუქტურული ელემენტებია პირველ სართულზე არსებული მონოლითური რკინაბეტონის კედლები, რომელზედაც საფუძვლიანი გამაგრების შემდეგ დაიდგმება მეტალის კარკასული კონსტრუქცია. ნაგებობის ძირითადი ნაწილი შეიმინება ახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნით ავტოგასამართი სადგურის მხრიდან მოეწყობა არმირებული ბეტონის კედელი 2 საათიანი ხანძარმედეგობით.

დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება #57.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება #14-39.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება #41.

საქართველოს მთავრობის 2016წლის 28 იანვრის დადგენილება #41.

შენიშვნა:

ხანძარქრობის პროექტი ატვირთულია ფაილის დამატების ველში

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება	
თვ-2 (303.3) თვაშეყრის ჯგუფი, რომელიც მოიცავს რესტორნებს.	1,2,3 სართული
დს (312.1) დამხმარე სათავსო, ავტოსაშხეფის სისტემის ავზი.	1 სართული
სმ-1(306.2) სამრეწველო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ელექტრო გენერატორების.	1 სართული

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	III-A ტიპი

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	3	1 სართული
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	3	3 სართული
დამხმარე სათავსო დს	3	1 სართული
	დასაშვები	**შემოთავაზებული**
საერთო სიმაღლე =	19.8	9.87
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		3 სართული

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი**	**შემოთავაზებული ფართობი**
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	1770	17.85 მ^2
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	1300	203.23 მ^2
დამხმარე სათავსო დს	1300	20.42 მ^2
იატაკის საერთო ფართობი =	600.2 მ^2	
იატაკების რაოდენობა =	3	
შენობის საერთო ფართობი სართულების გარე პერიმეტრებით =	1079.04 მ^2	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
ფასადი ა-დ	>9 მ	0	2	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	აკმაყოფილებს	-
ფასადი დ-ა	7.0 მ	0	2	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	70%	-	აკმაყოფილებს	-
ფასადი 1-4	>9 მ	0	2	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	აკმაყოფილებს	-
ფასადი 4-1	>9 მ	0	2	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	აკმაყოფილებს	-

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	-	-	-	-	-	-	-
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	-	კი	-	-	კი	კი
დამხმარე სათავსოს	-	-	-	-	-	-	-
1. დერეფნები	კი	-	კი	-	-	კი	კი
2. კიბე	-	-	კი	-	-	კი	კი
სახანძრო-ამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				-			

განიავების მოთხოვნა		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	კი	-
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	-
დამხმარე სათავსო დს	კი	-
დერეფნები	კი	-

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1 სართული	**10**	**1**	გზა-კარი	**-**	**-**	**1,2**	**1,2**	**0,82**	**0,9**
2 სართული	**145**	**2**	1გზა-კარი 1 გზა-კიბე	**1,1**	**1,1**	**1,2**	**1,2**	**0,82**	**2.0**
3 სართული	**135**	**2**	2 გზა-კიბე	**1,1**	**1,1**	**1,2**	**1,2**	**0,82**	**2.0**

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ცხრილი 1602.1-ის მიხედვით											
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი		ხელსაბანი		აბაზანა/შხაპი		წყლის დასალევი შადრევნები		სამომსახურეო ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1,2,3 სართული	**290**	4	5	2	5	-	-	1	1	1	1

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N10 (01.15.03.004.021) საკადასტრო ერთეულზე სამ სართულიანი რესტორნის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: ბ. ჯმუხაძემ

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს სამსართულიანი რესტორნის მშენებლობას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობი საკადასტრო გეგმის მიხედვით შეადგენს 930 მ2, მდებარეობს ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N10 (01.15.03.004.021) საკადასტრო ერთეულზე. ნაკვეთს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ესაზღვრება სამანქანე გზა. დანარჩენ მხარეს კერძო მიწის ნაკვეთები.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო შენობა არის 3 (სამი) სართულიანი, არ გააჩნია მიწისქვეშა სართული. შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, წყლის ორგანიზებული შემკრებით. შენობის 1 სართულზე გათვალისწინებულია სამზარეულო, კვების ბლოკი დამხმარე ფართებით, ხოლო მეორე და მესამე სართულზე დამხმარე ფართების გარდა ძირითადი ფართები ეთმობა კვების ბლოკებს.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის გაძლიერებული ბეტონის მონოლითურ სვეტებზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება რკინაბეტონის გაძლიერებული სვეტებისგან, სართულშუა გადახურვის ფილის, კოჭებისგან.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

4. ძირითადი ნაწილი

1) **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავულობის დატვირთვის შეფასება:**

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **თვ-2 (303.3)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „საზ. კვების ობიექტებს და მის კომერციულ სამზარეულოებს“. ეს დაკავებულობები განლაგებულია შენობის სამივე სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1.4 მთლიანი.
- **დს (312.1)** დამხმარე სათავსო, სადაც განლაგდება ავტოსაშხეფის სისტემის ავზი. ეს დაკავებულობა განლაგებულია 1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 29,7 მთლიანი.
- **სმ-1 (306.2)** სამრეწველო ჯგუფი, რომელიც მოიცავს ელექტრო გენერატორების. ეს დაკავებულობა განლაგებულია 1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 მთლიანი.

2) კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე მთლიანი შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **III-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სმ-1** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	3	1
ფართი	17.85	26.82
სიმაღლე	19.8	9.87

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**თვ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	3	3
ფართი	1300	203.23
სიმაღლე	19.8	9.87

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	3	1
ფართი	1300	20.42
სიმაღლე	19.8	9.87

4) **გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:**

- გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- -3.04 ნიშნულზე განლაგებულ სამზარეულოს და დამხმარე ფართს, რომლის დაკავებულობის დატვირთვა არის 49-ზე ნაკლები, **წესების** 1015.1 ცხრილის მიხედვით ესაჭიროება გასასვლელი, პროექტით გათვალისწინებული 1 გარეთ გასასვლელი გზა-კარი.

- 0,00 ნიშნულზე განლაგებულ თავშეყრის ფართს, რომლის დაკავებულობის დატვირთვა არის 49-ზე მეტი, **წესების** 1015.1 ცხრილის მიხედვით ესაჭიროება ორი გასასვლელი. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ერთი გასასვლელი კარი და ერთი გზა-კიბე, რომლებიც გამოდის შენობის გარეთ ხვდება საზოგადოებრივ სივრცეში. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი.

- +3.04 ნიშნულზე განლაგებულ თავშეყრის ფართს, რომლის დაკავებულობის დატვირთვა არის 49-ზე მეტი, **წესების** 1015.1 ცხრილის მიხედვით ესაჭიროება 2 გასასვლელი, პროექტით გათვალისწინებული 2 გზა-კიბე. **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი.

- შენობიდან გამოსასვლელები **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისად მდებარეობს მიწის დონეზე და გადის შენობის გარეთ საზოგადოებრივ გზაზე.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- მთელ ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-კიბე. რომლის სიგანეც არის 100 სმ_ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება:

- მიწის რელიეფიდან გამომდინარე შენობის პირველ და მეორე სართულზე შშმ პირთა შესვლა ხდება პანდუსის საშუალებით.
- შენობის მესამე სართულს 1104.4 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით არ მოეთხოვება მისაწვდომობა.
- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი. ყველა დაკავებულობა არის მისაწვდომი.

7) გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილის მოთხოვნებს. იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.
- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

8) ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

- ნაგებობებში 3 სხვადასხვა დაკავებულობაა, ისინი ერთმანეთისაგან იმიჯნებიან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის სართულშუა გადახურვის ფილით და ბეტონის ბლოკის კედლებით რაც სრულიად შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

9) სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **III-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე ესაჭიროება ერთ საათიანი სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10) ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- **წესების** 903.2.1.2 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე შენობა აღჭურვილია **წესების** 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13 - ის მიხედვით.

- **წესების** 905.3.1 ქვეთავის მიხედვით ნაგებობა არ საჭიროებს სახანძრო მილდგარის სისტემის მონტაჟს

- **წესების** 906.1 ქვეთავის მიხედვით ნაგებობაში განთავსებულია ხელის ცეცხლმაქრები. ისინი განლაგებულია 903.3(1) ქვეთავის შესაბამისად.

- **წესების** 907.2.1 ქვეთავის მიხედვით ნაგებობაში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც უნდა მოეწყოს NFPA 72-ის მიხედვით.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N10 (01.15.03.004.021) საკადასტრო ერთეულზე სამ სართულიანი რესტორნის არქიტექტურული ობიექტის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ლევანი ოქროპირიძე

ლევანი ოქროპირიძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლევანი ოქროპირიძე
დაბადების თარიღი	03.07.1985
დაბადების ადგილი	რუსთავი
მისამართი	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. N28
ტელეფონის ნომერი	595 65 15 56
E-mail:	okropira@gmail.com

განათლება

უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2003-2007 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინჟინერი, ბაკალავრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2010-2012 თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინტერიერის დიზაინერი, მაგისტრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - დოქტორუანტურა

სამუშაო გამოცდილება

2006-2011 - შპს „დ პლუსი“ - სამშენებლო კომპანია არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2013_დან დღემდე - შპს „ენ ენ ჯგუფი“ - სამშენებლო კომპანია

არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2011_დან დღემდე - შპს „საინვესტიციო დეველოპერული კომპანია ათორი“ - სამშენებლო კომპანია
მთავარი არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD, ArchiCAD, Revit, 3D’s Max, Photoshop, CorelDraw

ენები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგი
რუსული	კარგი

ინტერესთა სფერო

კითხვა, მუსიკის მოსმენა, მოგზაურობა.

განმცხადებელი ლ. ოქროპირიძე

თარიღი: 09.01.2019

სერტიფიკატი

№ 2017-081

გადაეცემა

ლევან ოქროპირიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000097

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2012 წლის 25 ივლისის № 3

გადაწყვეტილებით ლევან ოქროპირიძეს მიენიჭა

ინტერიერის დიზაინის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი
/ Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector თინათინ კლდიაშვილი
/ Tinatin Kldiashvili /

თბილისი
TBILISI

05 / რიცხვი/ day
09 / თვე/month
2013 / წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000097

By Decision № 3 of 25 July 2012 of the Faculty of

Architecture

Levani Okropiridze

was awarded the Degree of Master of

Interior Design

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო №
REGISTRATION 155


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ლევანი
LEVANI
გვარი / LAST NAME
ოქროპირიძე
OKROPIRIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
35001052365
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
03.07.1985
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
18.05.2022
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
11ID54620


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
რუსთავი
RUSTAVI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
18.05.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE011ID54620635001052365<<<<
8507033M2205186GE0<<<<<<<<<<<2
OKROPIRIDZE<<LEVANI<<<<<<<<<<<